სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 ივნისი , 2025 წელი

ბრძანება № 01-02/127

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** (მე-5 დონე) **პროფესიულ სტუდენტთა** (2024 წლის საგაზაფხულო მიღება) **შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ (2024 წლის საგაზაფხულო მიღება) შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 03 ივნისის №01-02/113 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 ივნისის №682042 სამსახურებრივი ბარათის და „ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სლოვენიაში, ქალაქ მარიბორში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 მაისის N01-14/188 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“** (მე-5 დონე) **პროფესიულ სტუდენტთა** (2024 წლის საგაზაფხულო მიღება) შეფასების მიზნით შეიქმნას **შუალედური შეფასების კომისია** და განისაზღვროს შეფასების ჩატარების დრო და ადგილი, კერძოდ:

1.1. შუალედური შეფასების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნარგიზ ფალავანდიშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხელმძღვანელი;

ბ) ლალი ჩიგოგიძე - კომპანია „ELIT აუდიტორი“, მთავარი ბუღალტერი, აუდიტორი, დამსაქმებელი;

გ) ნათია ტაკიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული განათლების მასწავლებელი;

დ) მედეა ჩხარტიშვილი - დამსაქმებელი - შპს „ავტობანი“ - მთავარი ბუღალტერი.

ე) თამთა ბერიძე - დამსაქმებელი - შპს „თიბი კონსალტინგი“ - მთავარი ბუღალტერი.

1.2. **შუალედური შეფასება ჩატარდეს** 2025 წლის 20 ივნისს 11:00 საათზე, ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, აუდიტორია №305;

2. შუალედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანებით.
3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).
5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მერაბ ხალვაში**